ძნელბედობისას საცნაური

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 15 ივნისი. 75 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – ცსკა (მოსკოვი) 2:0.

“დინამო”: აბუსერიძე, მიქაბერიძე, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჟორჟიკაშვილი, შენგელია.

ცსკა: ნოვიკოვი, გალიამინი, ფოკინი, ბულგაკოვი, ბ. კუზნეცოვი, პრიჩენენკო, ნესტეროვი, სამოხინი, აფანასიევი, დ. კუზნეცოვი, შტრომბერგერი.

33–ე წთ. კაკილაშვილი, მე–80 წთ. შენგელია.

მე–5 სთ. შტრომბერგერის ნაცვლად – ბუროვი, 63–ე წთ. ჟორჟიკაშვილის ნაცვლად – თევზაძე, 75–ე წთ. დ. კუზნეცოვის ნაცვლად – მოხი, 85–ე წთ. შენგელიას ნაცვლად – გურული.

მსაჯი: ალექსანდრე ხოხრიაკოვი (იოშკარ–ოლა).

კარში დარტყმა – 11:8 (7:4), ზუსტი დარტყმა – 5:4 (3:2), საჯარიმო მოედნიდან – 10:2 (6:0).

კუთხური – 12:2 (9:1).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 10 (5), მოსკოველები – 20 (13).

დუბლიორები 1:3. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა ცაავამ.

ბოლო ორი მატჩის დასაწყისი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს და ვფიქრობ, ამ მსგავსებასა თუ მის მიზეზში უნდა ვეძიოთ წლევანდელი საფეხბურთო სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი. არც მინსკელების და არც მოსკოველთა წინააღმდეგ “დინამოს” პირველივე წუთებზე შტურმისთვის არ მიუმართავს, გუნდი, ერთი შეხედვით, პასიურადაც იწყებდა თამაშს. ფაქტიურად ეს იყო ამ ორივე მატჩის ყველაზე მშვიდი წუთები. სწორედ ამ სიმშვიდეში აგვარებდა თბილისის “დინამო” საკუთარი კარის უსაფრთხოების ყველა პრობლემას, რომ იტყვიან, საქმეში, თანაც “ნელ ბრუნვებზე” სინჯავდა ნახევარდაცვისა და დაცვის ურთიერთმოქმედებას, მცველთა ურთიერთკავშირსა და დაზღვევას. და მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შესამჩნევად მოიმაგრებდა ზურგს, ასევე აუჩქარებლად და საქმიანად გადადიოდა შეტევაზე. რა თქმა უნდა, პრობლემები ისევ არის და კვლავაც იქნება, მაგრამ თბილისის “დინამოს” დაცვამ რომ (მისი ლიდერის ალექსანდრე ჩივაძის თავკაცობით) გვარიანად მოაწესრიგა თავისი საქმეები, აშკარაა. განსაკუთრებით სასიამოვნო კი ის არის, რომ ეს “საქმეების მოწესრიგება” კოლექტიური აზროვნების, თუნდაც გუნდის შტაბში შემუშავებული იდეის ხორცშესხმის ნაყოფია. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ცსკა–სთან მატჩის მიწურულს მასპინძელთა ტაქტიკური დაუდევრობის მიზეზით სტუმრებს ქულის გადარჩენის შესაძლებლობა მიეცათ. თუმცა მოვყვეთ თავიდან.

მატჩის დასაწყისზე უკვე ვთქვი. პირველი თხუთმეტი წუთის მანძილზე თბილისელებმა სულ ორჯერ მიიტანეს იერიში მეტოქის კარზე. მეთხუთმეტე წუთიდან მოყოლებული ტაიმის დასასრულამდე სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა იმდენი კარგი კომბინაცია ნახა, ორ თამაშს ეყოფოდა. განსაკუთრებით ლამაზი იყო 28–ე წუთზე ჩივაძე–შენგელია–კაკილაშვილის კომბინაცია. მანამდე მიქაბერიძესაც, შენგელიასაც, კაკილაშვილსაც გოლის გატანის მშვენიერი შესაძლებლობა ჰქონდათ.

როცა თამაშის შემდეგ მატჩის ჩანაწერს ჩავხედე, პირველი ტაიმის ჩანაწერში უამრავი ცარიელი ადგილი მომხვდა თვალში – ზოგან წუთები მაკლდა, ზოგან კომბინაცია, ზოგან – მისი შემსრულებელნი. ერთხანს ისე გამიტაცა თბილისელთა თამაშმა, რომ ყველაფრის ჩაწერა ვეღარ მოხერხდა. წინა კომბინაციების გაგრძელება იყო ისიც, სულაქველიძის შეტევის მოგერიებითა და შემდეგ კი კაკილაშვილის ზუსტი დარტყმით რომ დასრულდა – 1:0.

ასეთმა იერიშებმა, ბუნებრივია, ბევრი ენერგია წაიღო და მეორე ტაიმში უთუოდ დაღლილობის გამო შესამჩნევად დაკარგეს სიზუსტე ჟორჟიკაშვილმა და სვანაძემ (პირველი ტაიმი ორივე ფეხბურთელმა შესანიშნავად ითამაშა). "დინამოს" თამაში, უფრო სწორად მისი იერიშები, მინელდა. უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ მანამდე შეტევების უმეტესობა ნახევარდაცვის ცენტრის, ესე იგი ჟორჟიკაშვილის მეოხებით ვითარდებოდა. თავდასხმასთან დამაკავშირებელი ეს ძაფი გაწყდა თუ არა, სტუმრებმა შვება იგრძნეს და თვითონ გადმოვიდნენ იერიშზე. 62–ე, 64–ე და 75–ე წუთებზე თბილისელთა კარი ბეწვზე გადარჩა. ერთობ აგრესიულად ითამაშეს სამოხინმა, გალიამინმა და ბუროვმა. დროულმა ცვლილებამ საქმეს ცოტა უშველა – ცენტრალური ნახევარმცველის ფუნქციები ვერც ერთმა დინამოელმა ვერ იკისრა და მატჩი ერთხანს ასეც გაგრძელდა – უსაფუძვლო შიშით მეტოქის მიმართ, რომელსაც თუ სადმე სამართალია, პირველი ტაიმის შემდეგ ქულის მოპოვების იმედი არც უნდა ჰქონოდა. მე–80 წუთზე მიქაბერიძის შესანიშნავი რეიდის, ზუსტი ჩაწოდებისა და შენგელიას გოლის შემდეგ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. თბილისელებმა ისევ დაიბრუნეს საკუთარი სახე და მატჩი ასეც მიიყვანეს მის ლოგიკურ დასასრულამდე.

ამ გამარჯვებით თბილისის "დინამო" წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერთა შორის მოექცა. როგორ იმოქმედებს ეს ფაქტი ჩვენს გუნდზე, როგორ შეეთვისებიან ფეხბურთელები ამ, შეიძლება ითქვას, ახალ ამპლუას, ძნელი სათქმელია, მით უფრო, რომ აქედან მოყოლებული უაღრესად ძნელი მატჩების სერია მოგველის. თუმცა ერთიც არის: საბოლოო მიზანი რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება და მტკიცე გუნდის შექმნაა – სიმტკიცე კი მხოლოდ ძნელბედობის ჟამს იჭედება და ძნელბედობაშივე ხდება საცნაური.

ირაკლი ბერიაშვილი.
"ლელო", 16 ივნისი, 1984 წ.